

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2024 წლის

ქ. თბილისი

„მოთხოვნები ღივების წარმოებისთვის განკუთვნილი ღივებისა და თესლების  
მიკვლევადობის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე

**მუხლი 1.** სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „მოთხოვნები ღივების წარმოებისთვის განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის შესახებ“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

## მოთხოვნები ღივების წარმოებისთვის განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის შესახებ

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „მოთხოვნები ღივების წარმოებისთვის განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის შესახებ“ (შემდგომ - წესი) ადგენს მიკვლევადობის წესებს და აწესრიგებს ამ პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს.

2. ბიზნესოპერატორის მიერ ამ წესით განსაზღვრული მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების სახელმწიფო კონტროლს, საქართველოს ტერიტორიაზე, ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომ - სააგენტო), ხოლო საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური (შემდგომ - სამსახური), „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №463 დადგენილებით და „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 აპრილის №153 დადგენილებით განსაზღვრული საქონლის მიმართ.

### მუხლი 2. მოქმედების სფერო

1. ამ წესით განსაზღვრული მიკვლევადობის მოთხოვნები ვრცელდება:

ა) ღივების პარტიებზე;

ბ) თესლების პარტიებზე, რომელიც განკუთვნილია ღივების წარმოებისათვის.

2. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება ღივებზე რომლებიც, მიკრობიოლოგიური საფრთხეების პრევენციისა და თავიდან აცილებისათვის, ექვემდებარებიან დამუშავებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ღივი** - პროდუქტი, რომელიც მიიღება თესლის აღმოცენებითა და წყალში ან სხვა არეში განვითარებით, რომელიც მოკრეფილია ნამდვილი ფოთლის განვითარებამდე და განკუთვნილია სურსათად მთლიანად, თესლის ჩათვლით, მოხმარებისათვის;

ბ) **პარტია** - ღივების და თესლების რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია ერთი და იგივე ტაქსონომიური დასახელების ღივების წარმოებისათვის, რომლებიც ერთი და იმავე საწარმოდან იგზავნება ერთსა და იმავე საწარმოში, ერთსა და იმავე დღეს. ერთი ან რამდენიმე პარტია შეიძლება ქმნიდეს ტვირთის პარტიას. თუმცა, ერთ შეფუთვაში შერეული სხვადასხვა

ტექსონომიური დასახელების მქონე თესლები, რომლებიც გამოიზნულია ერთად გალივებისთვის, და მათგან მიღებული ღივებიც, ასევე წარმოადგენს ერთ პარტიას;

გ) ტვირთი - ღივების ან თესლების რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია ღივების წარმოებისათვის და:

გ.ა) რომელიც წარმოშობილია ერთი და იმავე ქვეყნიდან;

გ.ბ) რომელზედაც გაცემულია ერთი სერტიფიკატი;

გ.დ) რომელთა გადაზიდვა ხდება ერთი და იმავე სატრანსპორტო საშუალებით.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერმინებისა, ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება ასევე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები.

#### **მუხლი 4. მიკვლევადობის მოთხოვნები**

1. სურსათის ბიზნესოპერატორმა, წარმოებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე, უნდა უზრუნველყოს ღივების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლების და ღივების შესახებ ჩანაწერების წარმოება. იგი ვალდებულია, ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისათვის, ინფორმაცია მიაწოდოს თესლების და ღივების მიმღებ ბიზნესოპერატორს. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მონაცემებს:

ა) თესლების ან ღივების ზუსტი აღწერილობის, მათ შორის მცენარის ტექსონომიური დასახელების შესახებ;

ბ) მიწოდებული თესლების ან ღივების მოცულობის ან რაოდენობის შესახებ;

გ) თუ თესლების ან ღივების მიწოდება ხდება სხვა ბიზნესოპერატორისაგან, მისი დასახელების და მისამართის შესახებ:

გ.ა.) სურსათის ბიზნესოპერატორის შესახებ, ვისგანაც გაიგზავნა თესლები ან ღივები;

გ.ბ) ტვირთის გამგზავნი (მფლობელი) ბიზნესოპერატორის შესახებ, თუ ის განსხვავდება იმ ბიზნესოპერატორისაგან, ვისგანაც გაიგზავნა თესლები ან ღივები;

დ) სურსათის ბიზნესოპერატორის შესახებ, ვისთანაც გაიგზავნა თესლები ან ღივები;

ე) ტვირთის მიმღები (მფლობელი) ბიზნესოპერატორის დასახელების და მისამართის შესახებ, თუ ის განსხვავდება იმ ბიზნესოპერატორისაგან, ვისგანაც გაიგზავნა თესლები ან ღივები;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას პარტიის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ;

ზ) გაგზავნის თარიღის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია შეიძლება შენახული იქნეს ჩანაწერების სახით და ნებისმიერი შესაბამისი ფორმით ადვილად იქნეს მიწოდებული თესლების ან ღივების მიმღები სურსათის ბიზნესოპერატორისათვის.

3. სურსათის ბიზნესოპერატორმა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული:

ა) სათანადო ინფორმაცია უნდა გასცეს ყოველდღიურად;

ბ) ჩანაწერები განაახლოს ყოველდღიურად და ხელმისაწვდომი გახადოს გარკვეული დროის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ღივები მოხმარებულია.

4. სურსათის ბიზნესოპერატორი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

#### **მუხლი 5. მიკვლევადობის მოთხოვნები იმპორტირებული თესლების ან ღივებისათვის**

1. იმპორტირებულ თესლებს, რომლებიც გამიზნულია ღივების წარმოებისათვის და იმპორტირებულ ღივებს თან უნდა ახლდეს ამ წესის დანართით განსაზღვრული „ოფიციალური სერტიფიკატი ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ღივებისა და ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ღივების საწარმოებლად გამიზნული თესლების საქართველოში იმპორტისათვის“.

2. სურსათის ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს თესლების ან ღივების იმპორტს, ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატი შეინახოს გარკვეული დროის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ღივები მოხმარებულია.

3. სურსათის ყველა ბიზნესოპერატორმა, რომელიც ამუშავებს ღივების წარმოებისთვის განკუთვნილ იმპორტირებულ თესლებს, უნდა მიაწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატის ასლები ყველა სურსათის ბიზნესოპერატორს, ვისთანაც იგზავნება თესლები, სანამ ამ თესლებს არ მიიღებს ღივების მწარმოებელი ბიზნესოპერატორი.

4. თუ ღივების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლი საცალო ვაჭრობაში რეალიზაციისათვის დაფასოებულია, ყველა ბიზნესოპერატორმა, რომელიც მუშაობს ღივების წარმოებისათვის განკუთვნილ იმპორტირებულ თესლებზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატის ასლი უნდა მიაწოდოს ყველა იმ ბიზნესოპერატორს, ვისაც საცალო ვაჭრობაში რეალიზაციისათვის შეფუთვამდე მიეწოდება თესლები.



<input type="checkbox"/> თვითმფრინავი/Aircraft <input type="checkbox"/> გემი /Vessel  <input type="checkbox"/> სარკინიგზო/ Railway <input type="checkbox"/> საგზაო ავტოტრანსპორტი/ Road vehicle  იდენტიფიკაცია/Identification		1.17.თანმხლები დოკუმენტები/Accompanying documents  ტიპი/Type    კოდი/Code  ქვეყანა/Country                                      ISOკოდი/ISO country code  კომერციული დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი/Commercial document Reference		
I.18. ტრანსპორტირების პირობები/ Transport conditions		<input type="checkbox"/> გარემო/ Ambient	<input type="checkbox"/> გაცივებული/Chilled	<input type="checkbox"/> გაყინული/Frozen
I.19. კონტეინერის/ლუქის ნომერი/ Container No/ Seal No		კონტეინერის ნომერი/ Container No    ლუქის ნომერი/ Seal No		
I.20. სერტიფიცირებულია / certified as or for				
ადამიანთა მოხმარებისთვის/ products for Human consumption <input type="checkbox"/>				
I.21.		I.22. შიდა ბაზრისთვის/ For internal market: <input type="checkbox"/>		
		I.23		
I.24. შეფუთვის საერთო რაოდენობა/ Total number of packages		I.25. საერთო რაოდენობა/ Total quantity	I.26. მთლიანი ნეტო წონა(კგ)/ მთლიანი ბრუტო წონა(კგ)/ Total net weight (kg)/Total gross weight (kg)	
I.27. ტვირთის აღწერა/ Description of consignment				
სეს ესნ კოდი/CN code		სახეობა / Species		
		საწყობი - მაცივარი/Cold store	შეფუთვის სახე/Type of packaging	ნეტო წონა/Net weight
საბოლოო მომხმარებელი/ final consumer <input type="checkbox"/>		შეგროვების დრო/date of collection	შეფუთვის რაოდენობა/Number of packaging	ლოტის ნომერი/Batch number
		მწარმოებელი/ Manufacturing plant		

ქვეყანა/ Country

ოფიციალური სერტიფიკატი საქართველოში იმპორტისათვის/

**Official certificate for import into  
Georgia**

<p><b>II. ინფორმაცია უვნებლობის შესახებ/ Health information</b></p>	<p>II.ა.სერტიფიკატის ნომერი/ II.a Certificate reference No</p>	<p>II.ბ</p>
<p><b>II. სანიტარულ-ჰიგიენური დამოწმება</b></p> <p>მე, ქვემოთ ხელის მომწერი, ვაცხადებ, რომ გავცანი საქართველოს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე შესაბამის მოთხოვნებს (ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) N178/2002 და ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) N852/2004) და ვადასტურებ, რომ: / I, the undersigned, hereby declare that I am aware of the relevant requirements of food/feed safety, veterinary and plant protection code of Georgia and Resolution N 173 of the Government of Georgia dated June 25, 2010 on approval of technical regulations - "General rule of food hygiene" and "Simplified rule of food hygiene"(EC) N178/2002 of the European Parliament and of the Council and Regulation (EC) N852/2004 of the European Parliament and of the Council), and hereby certify that:</p> <p><sup>ა6(1)</sup> II.1.1. I ნაწილში აღწერილი ღივების წარმოებისათვის განკუთვნილი <b>თესლი</b> წარმოებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ, ამ დადგენილების დანართი 1-ის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირველადი წარმოებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად (ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) N852/2004, დანართი I , ნაწილი "ა")/the sprouts and seeds intended for the production of sprouts described in Part I were produced under conditions which comply with Resolution N 173 of the Government of Georgia dated June 25, 2010 on approval of technical regulations - "General rule of food hygiene" and "Simplified rule of food hygiene" in particular with the hygiene requirements for primary production and associated operations set out in Annex 1, article 3 thereto (Regulation(EC) N852/2004, Annex I, Part A).</p> <p><sup>ა6(1)</sup> II.1.1.</p> <p>ა) I ნაწილში აღწერილი ღივების წარმოებისათვის განკუთვნილი <b>ღივები</b> წარმოებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ, ამ დადგენილების დანართი 1-ის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირველადი წარმოებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად (ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) N852/2004, დანართი I , ნაწილი "ა")/the sprouts and seeds intended for the production of sprouts described in Part I were produced under conditions which comply with Resolution N 173 of the Government of Georgia dated June 25, 2010 on approval of technical regulations - "General rule of food hygiene" and "Simplified rule of food hygiene" in particular with the hygiene requirements for primary production and associated operations set out in Annex 1, article 3 thereto (Regulation(EC) N852/2004, Annex I, Part A).</p> <p>ბ) I ნაწილში აღწერილი ღივების წარმოებისათვის განკუთვნილი <b>ღივები</b> წარმოებულია საწარმოში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება</p>		

ნაწილი II : სერტიფიცირება/ certification

ევროსაბჭოს რეგულაციის N210/2013 ( on the approval of establishments producing sprouts pursuant to Regulation (EC) No 852/2004 of the European Parliament and of the Council) მე-2 მუხლი ~~the sprouts were produced in establishment in accordance with the requirements laid down in resolution „on the approval of establishments producing sprouts~~ დადგენილებებს.

გ) I ნაწილში აღწერილი ღივების წარმოებისათვის განკუთვნილი ღივები ამ დადგენილებით განსაზღვრული მიკვლევადობის მოთხოვნათა პირობების დაცვით და შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N581 დადგენილების „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ I დანართის კრიტერიუმებს (ევროსაბჭოს რეგულაცია (EU) N208/2013 და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) N2073/2005 დებულებების კრიტერიუმები, რომელიც მითითებულია I დანართში)/The sprouts were produced in compliance with the traceability requirements described by this and comply with the criteria of Annex 1 of the Resolution N581 of the Government of Georgia dated November 10, 2015 "On Approving the Technical Regulations on Microbiological Indicators of Food" (Commission implementing Regulation (EU) N208/2013 and respect the criteria laid down in Annex I to Commission Regulation (EC) N2073/2005.)

### **შენიშვნები**

#### **Notes**

ევროპის კავშირიდან და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებიდან დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გასვლის შესახებ შეთანხმების, კერძოდ, ირლანდიის/ჩრდილოეთ ირლანდიის შესახებ ოქმის მე-5(4) მუხლის შესაბამისად, ამ ოქმის მეორე დანართთან ერთად, მითითებები წინამდებარე სერტიფიკატის ფორმაში ევროკავშირის მიმართ მოიცავს გაერთიანებულ სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიასაც/in accordance with the agreement on the withdrawal of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland from the European Union and the European Atomic Energy Community, and in particular article 5(4) of the Protocol on Ireland/Northern Ireland in conjunction with Annex 2 to that Protocol, references to the Union in this official certificate include the United Kingdom in respect of Northern Ireland.

აღნიშნული ოფიციალური სერტიფიკატი შევსებული უნდა იქნეს ამ დადგენილების დანართით-“ოფიციალური სერტიფიკატის ფორმა ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ღივებისა და ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ღივების საწარმოებლად გამოიზნული თესლების საქართველოში იმპორტისათვის ” განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება სერტიფიკატების შევსების წესის შესაბამისად, (ევროსაბჭოს რეგულაცია (EU) 2020/2235 დანართი I, თავი მე-4):/

This official Certificate shall be completed according to the Model official certificate by this resolution Annex “ Model official certificate for the entry into the Georgia of sprouts intended for human consumption and seeds intended for the production of sprouts for human consumption” (Commission Implementing Regulation 2020/2235, chapter 4 of Annex I ):

#### **ნაწილი I:/Part I:**

##### **გრაფა 1.27: ტვირთის აღწერა:/Box reference 1.27: Description of consignment:**

"სეს ესნ კოდი/CN code": დაესვას შესაბამისი სეს ესნ კოდი/კოდები, კერძოდ კი:/ Insert the appropriate HS code(s) such as: 0704 90, 0706 90, 0708 10, 0708 20, 0708 90, 0713 10, 0713 33, 0713 34, 0713 35, 0713 39, 0713 40, 0713 50, 0713 60, 0713 90, 0910 99, 1201 10, 1201 90, 1207 50, 1207 99, 1209 10, 1209 21, ან 1209 91.

„მცენარის მწარმოებელი“: ჩაიწეროს საწარმოს დასახელება, რომელიც აწარმოებს ღივებს ან თესლებს/

„Manufacturing plant“: Insert the name of the establishments which produced the sprouts or seeds.

#### **ნაწილი II:/ Part II:**



<sup>(1)</sup> არასაჭირო წაიშალოს (მაგ., თუ თესლია) <sup>(1)</sup> Delete as appropriate (e. g. if seeds)

სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი/Certifying officer:

სახელი და გვარი/Name (in capital letters)

თარიღი/Date:

კვალიფიკაცია და თანამდებობა/Qualification and title:

ბეჭედი/Stamp:

ხელმოწერა/Signature:

## განმარტებითი ბარათი

**„მოთხოვნები ღივების წარმოებისთვის განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე**

### ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, „მოთხოვნები ღივების წარმოებისთვის განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის დამტკიცებას.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით.

მათ შორის არის: 2023 წლის 11 მარტის კომისიის განმახორციელებელი რეგულაცია (EU) №208/2013 ღივების საწარმოებლად განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

პროექტის შესაბამისად, დგინდება მიკვლევადობის წესები, ღივების წარმოებისთვის განკუთვნილ ღივებთან და თესლებთან დაკავშირებით.

პროექტის თანახმად, ბიზნესოპერატორის მიერ ამ წესით განსაზღვრული მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების სახელმწიფო კონტროლს, საქართველოს ტერიტორიაზე, ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომ - სააგენტო), ხოლო საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომ – სამსახური), „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N463 დადგენილებით და „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 აპრილის N153 დადგენილებით განსაზღვრული საქონლის მიმართ.

პროექტის მიხედვით განისაზღვრა მოქმედების სფერო და დადგინდა რომ, ამ წესით განსაზღვრული მიკვლევადობის მოთხოვნები ვრცელდება, ღივებისა და თესლების პარტიებზე, რომელიც განკუთვნილია ღივების წარმოებისათვის.

ხოლო, არ ვრცელდება ღივებზე რომლებიც, მიკრობიოლოგიური საფრთხეების პრევენციისა და თავიდან აცილებისათვის, ექვემდებარებიან დამუშავებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის შესაბამისად, განისაზღვრა ტერმინები, ზოგადი მიკვლევადობის მოთხოვნები და ასევე, მიკვლევადობის მოთხოვნები იმპორტირებული თესლებისა და ღივებისათვის.

პროექტს თან ახლავს დანართი „ოფიციალური სერტიფიკატი ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ღივების და ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ღივების საწარმოებლად გამიზნული თესლების საქართველოში იმპორტისათვის“, რომელიც შეესაბამება 2020 წლის 16 დეკემბრის 2020/2235 რეგულაციის პირველი დანართის 51-ე თავს. იმის გათვალისწინებით, რომ იმპორტირებული თესლების ტვირთს, რომელიც გამიზნულია ღივების წარმოებისათვის თან უნდა ახლდეს აღნიშნული სერტიფიკატი.

### **ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

პროექტი მომზადებულია 2023 წლის 11 მარტის კომისიის განმახორციელებელი რეგულაცია (EU) №208/2013 ღივების საწარმოებლად განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

#### **გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება**

პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

#### **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება**

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

#### **პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამასთან პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

#### **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

პროექტის შესაბამისად, დგინდება მიკვლევადობის წესები, ღივების წარმოებისთვის განკუთვნილ ღივებთან და თესლებთან დაკავშირებით. რაც ხელს შეუწყობს ღივებისა და თესლების მიკვლევადობის პროცესს და პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს.

#### **პროექტის განხორციელების ვადები**

პროექტი ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან, რაც შესაძლებლობას მისცემს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს სათანადოდ მოემზადონ პროექტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისათვის.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

მხედველობაშია ის გარემოებაც, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

### **პროექტის ავტორი და წარმდგენი**

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>2023 წლის 11 მარტის კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) №208/2013 ღივების საწარმოებლად განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის მოთხოვნებთან დაკავშირებით (ტექსტი EEA-ს შესაბამისობით)</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები, არსებობის შემთხვევაში:</p> <p>N1 საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „მოთხოვნები ღივების წარმოებისთვის განკუთვნილი ღივებისა და თესლების მიკვლევადობის შესახებ“</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი          ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი          შ – შეუსაბამო          ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	წინამდებარე რეგულაცია განსაზღვრავს წესებს შემდეგი საქონლის პარტიების მიკვლევადობის შესახებ:  (i) ყლორტები;	N1	2	1. ამ წესით განსაზღვრული მიკვლევადობის მოთხოვნები ვრცელდება: ა) ღივების პარტიებზე; ბ) თესლების პარტიებზე, რომელიც განკუთვნილია ღივების წარმოებისთვის.	სშ	

	<p>(ii) თესლი, რომელიც განკუთვნილია ყლორტების წარმოებისთვის.</p> <p>ეს რეგულაცია არ ვრცელდება ყლორტებზე მას შემდეგ, რაც ყლორტი გაივლის დამუშავებას, რომელიც აღმოფხვრის მიკრობიოლოგიურ საფრთხეებს, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.</p>			<p>2. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება ღივებზე რომლებიც, მიკრობიოლოგიური საფრთხეების პრევენციისა და თავიდან აცილებისათვის, დაექვემდებარნენ დამუშავებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.</p>		
2	<p>ამ რეგულაციის მიზნებისათვის, გამოიყენება შემდეგი ტერმინები:</p> <p>ა) „ყლორტები“ ნიშნავს პროდუქტს, რომელიც მიიღება თესლის წყალში ან სხვა გარემოში გაღივებისა და განვითარების შედეგად, ალბუმი ნამდვილი ფოთლების გაჩენამდე და რომელიც საკვებად მიიღება მთლიანად, თესლის ჩათვლით;</p> <p>ბ) „სერია“ ნიშნავს ყლორტების ან თესლების რაოდენობას, რომლებიც განკუთვნილია ყლორტების წარმოებისთვის; მას აქვს იგივე ტაქსონომიური სახელწოდება და იგზავნება იმავე დაწესებულებიდან იმავე დანიშნულების ადგილზე იმავე დღეს. ერთი ან მეტი სერია ქმნის სასაქონლო პარტიას. თუმცა, სხვადასხვა ტაქსონომიური სახელწოდების თესლები, რომლებიც შერეულია ერთსა და იმავე შეფუთვაში და გამიზნულია ერთად გაღივებისთვის და ყლორტების წარმოებისათვის ასევე განიხილება როგორც ერთი პარტია.</p>	N1	3	<p>1. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ა) ღივი - პროდუქტი, რომელიც მიიღება თესლის აღმოცენებითა და წყალში ან სხვა არეში განვითარებით, რომელიც მოკრეფილია ნამდვილი ფოთლის განვითარებამდე და განკუთვნილია სურსათად მთლიანად, თესლის ჩათვლით, მოხმარებისათვის“;</p> <p>ბ) პარტია - ღივების და თესლების რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია ერთი და იგივე ტაქსონომიური დასახელების ღივების წარმოებისათვის, რომლებიც ერთი და იმავე საწარმოდან იგზავნება ერთსა და იმავე საწარმოში, ერთსა და იმავე დღეს. ერთი ან რამდენიმე პარტია შეიძლება ქმნიდეს ტვირთის პარტიას. თუმცა, ერთ შეფუთვაში შერეული სხვადასხვა ტაქსონომიური დასახელების მქონე თესლები, რომლებიც გამიზნულია ერთად გაღივებისთვის, და მათგან მიღებული ღივებიც, ასევე წარმოადგენს ერთ პარტიას.</p>	სშ	

2	<p>გარდა ამისა, ამ რეგულაციის მიზნებისათვის გამოიყენება კომისიის რეგულაცია (EU) No211/2013-ის მე-2 მუხლის განმარტება „სასაქონლო პარტია“.</p>	N1	3	<p>გ) ტვირთი - ღივების ან თესლების რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია ღივების წარმოებისათვის და რომელიც:  გ.ა) წარმოშობილია ერთი და იმავე ქვეყნიდან;  გ.ბ) რომელზედაც გაცემულია ერთი სერტიფიკატი;  გ.დ) რომელთა გადაზიდვა ხდება ერთი და იმავე სატრანსპორტო საშუალებით.</p>	სშ	
3.1	<p>1. სურსათის ბიზნესის ოპერატორები, წარმოების გადამამუშავებისა და განაწილების ყველა ეტაპზე, უზრუნველყოფენ, რომ ჩანაწერებში ჰქონდეთ შემდეგი ინფორმაცია ყლორტების წარმოებისთვის განკუთვნილი თესლის სერიების ან ყლორტების სერიების შესახებ. სურსათის ბიზნესის ოპერატორმა ასევე უნდა უზრუნველყოს ამ დებულებების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციის გადაცემა სურსათის ბიზნეს ოპერატორზე, რომელსაც მიეწოდება თესლი ან ყლორტები:  ა) თესლის ან ყლორტების ზუსტი აღწერა, მცენარის ტაქსონომიური დასახელების ჩათვლით;  ბ) მიწოდებული თესლის ან ყლორტების მოცულობა ან რაოდენობა;  (i) სურსათის ბიზნეს ოპერატორი, ვისგანაც გაიგზავნა თესლი ან ყლორტები;  (ii) ტვირთის გამგზავნი (მფლობელი), თუ იგი განსხვავებულია სურსათის ბიზნესის ოპერატორისგან, ვისგანაც გაიგზავნა თესლი ან ყლორტები;  დ) სურსათის ბიზნეს ოპერატორის სახელი და მისამართი, ვისაც გაეგზავნა თესლი ან ყლორტები;  ე) ტვირთის მიმღების (მფლობელი) სახელი და მისამართი, თუ იგი განსხვავებულია სურსათის ბიზნეს</p>	N1	4.1	<p>სურსათის ბიზნესოპერატორმა, წარმოებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე, უნდა უზრუნველყოს ღივების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლების და ღივების შესახებ ჩანაწერების წარმოება. იგი ვალდებულია, ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისათვის, ინფორმაცია მიაწოდოს თესლებისა და ღივების მიმღებ ბიზნესოპერატორს. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:  ა) თესლების ან ღივების ზუსტი აღწერილობა, მათ შორის მცენარის ტაქსონომიური დასახელება;  ბ) მიწოდებული თესლების ან ღივების მოცულობა ან რაოდენობა;  გ) თუ თესლების ან ღივების მიწოდება ხდება სხვა ბიზნესოპერატორისაგან, მისი დასახელება და მისამართი:  გ.ა.) სურსათის ბიზნესოპერატორი, ვისგანაც გაიგზავნა თესლები ან ღივები;  გ.ბ) ტვირთის გამგზავნი (მფლობელი) ბიზნესოპერატორი, თუ ის განსხვავდება</p>	სშ	

	<p>ოპერატორისაგან ვისაც ეგზავნება თესლი ან ყლორტები.</p> <p>ვ) საცნობარო ნომერი, რითაც იდენტიფიცირდება სერია, შესაბამისად;</p> <p>ზ) გაგზავნის თარიღი.</p>			<p>იმ ბიზნესოპერატორისაგან, ვისგანაც გაიგზავნა თესლები ან ღივები;</p> <p>დ) სურსათის ბიზნესოპერატორის დასახელება, ვისთანაც გაიგზავნა თესლები ან ღივები;</p> <p>ე) ტვირთის მიმღები (მფლობელი) ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი, თუ ის განსხვავდება იმ ბიზნესოპერატორისაგან, ვისგანაც გაიგზავნა თესლები ან ღივები;</p> <p>ვ) საჭიროების შემთხვევაში, პარტიის საიდენტიფიკაციო მონაცემები;</p> <p>ზ) გაგზავნის თარიღი.</p>		
3.2	<p>1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაცია შეიძლება დაცული იყოს ჩანაწერების სახით და გადაიგზავნოს სათანადო ფორმით, იმის გათვალისწინებით, რომ სურსათის ბიზნეს ოპერატორს შეეძლოს მისი მარტივად ამოღება და გადაგზავნა მისთვის, ვისაც მიეწოდება თესლი ან ყლორტები.</p>	N1	4.2	<p>ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია შეიძლება შენახული იქნეს ჩანაწერების სახით და ნებისმიერი შესაბამისი ფორმით ადვილად იქნეს მიწოდებული თესლების ან ღივების მიმღები სურსათის ბიზნესოპერატორისათვის.</p>	სშ	
3.3	<p>სურსათის ბიზნეს ოპერატორმა 1-ელ პუნქტში მოხსენიებული შესაბამისი ინფორმაცია უნდა გააგზავნოს ყოველდღიურად. 1-ელ პუნქტში მითითებული ჩანაწერები უნდა განახლდეს ყოველდღიურად და ხელმისაწვდომი იყოს საკმარისი პერიოდით მას შემდეგ, რაც ყლორტები უკვე მოხმარებული იქნება.</p>	N1	4.3	<p>სურსათის ბიზნესოპერატორმა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სათანადო ინფორმაცია უნდა გასცეს ყოველდღიურად. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერები განახლოს ყოველდღიურად და ხელმისაწვდომი გახადოს გარკვეული დროის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ღივები მოხმარებულია.</p>	სშ	



3.4	სურსათის ბიზნეს ოპერატორმა 1-ელ პუნქტში მოხსენიებული ინფორმაცია, მოთხოვნის შემთხვევაში, დროულად უნდა გაუგზავნოს კომპეტენტურ უწყებას.	N1	4.4	სურსათის ბიზნესოპერატორი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი შეფერხების გარეშე.	სშ	
4.1	თესლის სასაქონლო პარტიას, რომელიც განკუთვნილია ყლორტების წარმოებისთვის და ყლორტების სასაქონლო პარტიას, კავშირში იმპორტისას თან უნდა ახლდეს სერტიფიკატი, როგორც ეს გათვალისწინებულია რეგულაციის (EU) No211/2013 მე-3 მუხლით.	N1	5.1	იმპორტირებული თესლების ტვირთს, რომელიც გამიზნულია ღივების წარმოებისათვის თან უნდა ახლდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით „ოფიციალური სერტიფიკატის ფორმა, ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ღივების და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი ღივების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლების საქართველოში შემოტანისათვის“ განსაზღვრული სერტიფიკატი.	სშ	
4.2	თესლის ან ყლორტების იმპორტიორი სურსათის ბიზნესის ოპერატორი ვალდებულია 1-ელ პუნქტში მითითებული სერტიფიკატი შეინახოს საკმარისი დროით მას შემდეგ, რაც ყლორტები ჩაითვლება მოხმარებულად.	N1	5.2	სურსათის ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს თესლების ან ღივების იმპორტს, ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატი შეინახოს გარკვეული დროის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ღივები მოხმარებულია.	სშ	
4.3	3. სურსათის ნებისმიერი ბიზნეს ოპერატორი, რომელსაც შეხება აქვს იმპორტირებულ თესლთან, რომელიც განკუთვნილია ყლორტების წარმოებისთვის, ვალდებულია, რომ 1-ელ პუნქტში მითითებული სერტიფიკატი გაუგზავნოს სურსათის ყველა ბიზნეს ოპერატორს, რომლებთანაც გაიგზავნება თესლი, სანამ ამ თესლს არ მიიღებს ყლორტების მწარმოებელი.	N1	5.3	სურსათის ყველა ბიზნესოპერატორმა, რომელიც ამუშავებს ღივების წარმოებისთვის განკუთვნილ იმპორტირებულ თესლს, უნდა მიაწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატის ასლები ყველა სურსათის ბიზნესოპერატორს, ვისთანაც იგზავნება თესლები, სანამ ამ თესლს არ მიიღებს ღივების მწარმოებელი ბიზნესოპერატორი.	სშ	

4.4	<p>4. როცა თესლი განკუთვნილია ყლორტების წარმოებისათვის და იგი იყიდება საცალოდ, შეფუთვებში, ნებისმიერი სურსათის ბიზნეს ოპერატორი, რომელიც ამუშავებს იმპორტირებულ თესლს, ვალდებულია 1-ელ პუნქტში მოხსენიებული სერტიფიკატი მიაწოდოს ყველა სურსათის ბიზნეს ოპერატორს, ვისაც ეგზავნება თესლი, ვიდრე ეს თესლი არ შეიფუთება გასაყიდად საცალო ვაჭრობის პუნქტში.</p>	N1	5.4	<p>თუ ღივების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლი საცალო ვაჭრობაში რეალიზაციისათვის დაფასობულია, ყველა ბიზნესოპერატორმა, რომელიც მუშაობს ღივების წარმოებისათვის განკუთვნილ იმპორტირებულ თესლზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატის ასლი უნდა მიაწოდოს ყველა იმ ბიზნესოპერატორს, ვისაც საცალო ვაჭრობაში რეალიზაციისათვის შეფუთვამდე მიეწოდება თესლები.</p>	სშ	
5	<p>წინამდებარე რეგულაცია ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.</p> <p>მისი გამოყენება იწყება 2013 წლის 1 ივლისს.</p>				ას	წარმოადგენს რეგულაციის გარდამავალ დებულებებს